საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გურიელი სტეფანე ქაიხოსროს ძე

გურიელი სტეფანე ქაიხოსროს (ქრისტეფორეს) ძე (1730–1812, მოგილიოვი, ბელორუსია), რუსეთის იმპერიის არმიის კავალერიის გენერალ-მაიორი (დაახლ. 1800). გენ.-მ. ი. გურიელის მამა. **გ**-ის მამა, გურიის მთავარი, ქაიხოსრო III ვახტანგ VI-ს გაჰყვა რუსეთში და იქვე დამკვიდრდა. 1754-იდან **გ**. მსახურობდა ჯარში, 1758-იდან – ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა რუს.-ოსმ. 1768–74 და 1787–91 ომებში.

ლიტ. იხ. სტ-თან გურიელი ივანე.